საქართველოს მთავრობის

დადგენილება №318

2012 წლის 31 ივლისი

ქ. თბილისი

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და დაზღვევის წესის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და დაზღვევის წესი“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ი. მერაბიშვილი

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმებისა და დაზღვევის წესი

მუხლი 1. სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმი

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის უსაფრთხოების პერიოდული ინსპექტირების განმახორციელებელი აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოების პასუხისმგებლობის დაზღვევისათვის სადაზღვევო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრება მათ მიერ სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ლიცენზიის ქონა.

მუხლი 2. პასუხისმგებლობის დაზღვევის სავალდებულოობა

1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების მაინსპექტირებელი კერძო ინსპექტირების ორგანოები ექვემდებარებიან სავალდებულო პასუხისმგებლობის დაზღვევას.

2. პასუხისმგებლობის დაზღვევა სავალდებულოა ინსპექტირების ორგანოს ფუნქციონირების მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ დადგენილების მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) პასუხისმგებლობის დაზღვევა – დაზღვევა, დაკავშირებული ინსპექტირების ორგანოს უფლებამოსილი წარმომადგენლის ან დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში და ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულების პროცესში მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან;

ბ) პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება – პასუხისმგებლობის დაზღვევის შესახებ დადებული ხელშეკრულება ინსპექტირების ორგანოს ან დამოუკიდებელ ინსპექტორსა და სადაზღვევო კომპანიას შორის;

გ) სადაზღვევო შემთხვევა – დაზღვეულის პასუხისმგებლობით გამოწვეული, მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში და მესამე (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირთან დადებული ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების აღსრულების პროცესში ამ უკანასკნელისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებული ზიანი;

დ) სადაზღვევო თანხა – პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც სადაზღვევო კომპანია კისრულობს ვალდებულებას, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა;

ე) პასუხისმგებლობის დაზღვევის ობიექტი – დამზღვევის ფინანსური ვალდებულებები , რომლებიც დაკავშირებულია მის პასუხისმგებლობასთან , საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით აანაზღაუროს პროფესიული საქმიანობის ფარგლებში მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების განხორციელების დროს მესამე (ფიზიკური და იურიდიული) პირის სიცოცხლისათ ვის , ჯანმრთელობისათვის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი .

მუხლი 4. პასუხისმგებლობის დაზღვევის საგანი

1 . პასუხისმგებლობის დაზღვევით სადაზღვევო კომპანია სრულად უნდა ანაზღაურებდეს ყველა შესაძლო ზიანს , რომელიც ინსპექტირების ორგანოს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა ან დამოუკიდებელმა ინსპექტორმა შეიძლება მიაყენოს მესამე (ფიზიკურ და იურიდიულ) პირს პროფესიული საქმიანობისას , ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განხორციელების ფარგლებში .

2 . დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებაში ისეთი გამონაკლისების არსებობა , რომლებიც ეწინააღმდეგება ამ მუხლის პირველ პუნქტს .

3 . თითოეულ სადაზღვევო შემთხვევაში სადაზღვევო თანხამ სრულად უნდა აანაზღაუროს დაზღვეულის პროფესიული საქმიანობისას და მესამე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებისას მისი პასუხისმგებლობით გამოწვეული ზიანი .

მუხლი 5. სადაზღვევო თანხის ოდენობა

1 . კერძო ინსპექტირების ორგანოებისათვის განხორციელებული ინსპექტირებისათვის მინიმალური წლიური სადაზღვევო თანხა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების შესაბამისად უნდა შეადგენდეს :

ა) კარიერის , მაღაროს , შახტის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის/დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის , რომელიმე ჩამოთვლილთაგანის ან რამდენიმე ტიპის ობიექტის ერთად ინსპექტირებისათვის – 500 , 000 . 00 (ხუთასი ათასი) ლარს;

ბ) ნავთობბაზის , მაგისტრალური ნავთობსადენის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის/დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის , რომელიმე ჩამოთვლილთაგანის ან ორივე ტიპის ობიექტის ინსპექტირებისათვის – 500 , 000 . 00 (ხუთასი ათასი) ლარს;

გ) მაგისტრალური გაზსადენის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის/დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის – 500 , 000 . 00 (ხუთასი ათასი) ლარს;

დ) ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების (ხელოვნური წყალსატევები , კაშხლები , სარეგულაციო ნაგებობები , ჰიდროტექნიკური ნაგებობები) კონსტრუქციული მდგრადობის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის/დამოუკიდებელი ინსპექტორისათვის – 500 , 000 . 00 (ხუთასი ათასი) ლარს;

ე) საშიში ნარჩენების ნაგავსაყრელის ან/და ტერაკონის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ვ) ჟანგბადის წარმოების და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესის , თხევადი ჟანგბადის წარმოების , რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნის შემცველი ობიექტებიდან რომელიმე ჩამოთვლილთაგანის ან რამდენიმე ტიპის ობიექტის ერთად ინსპექტირებისათვის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ზ) სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

თ) საქვაბე დანადგარის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ი) ფუნიკულიორის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

კ) საბაგირო გზის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ლ) ატრაქციონის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

მ) წნევაზე მომუშავე ჭურჭლის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ნ) ექვს ტონაზე მეტი ტვირთამწეობის ამწე მოწყობილობის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 150 , 000 . 00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს;

ო) ექვსი ტონა და ნაკლები ტვირთამწეობის ამწე მოწყობილობის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 75 , 000 . 00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს;

პ) მაინსპექტირებელი ორგანოსათვის შემდეგი ტიპის ობიექტების ინსპექტირების შემთხვევაში : ბუნებრივი გამოქვაბულებისა და მღვიმეების , სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, – 75 , 000 . 00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს;

ჟ) ლიფტის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 75 , 000 . 00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს;

რ) ესკალატორის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 75 , 000 . 00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს;

ს) სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ნაგავსაყრელის მაინსპექტირებელი ორგანოსათვის – 75,000.00 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს.

2. ცალკეული (ინდივიდუალური) ინსპექტორისათვის სადაზღვევო თანხის ოდენობა უნდა იყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანხების ნახევრის ტოლი, გარდა „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მითითებული ობიექტებისა.

მუხლი 6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

როგორც ინსპექტირების ორგანო, ასევე სადაზღვევო კომპანია ვალდებულია სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – აკრედიტაციის ერთიან ეროვნულ ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრს.